www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის რიცხოვნობა

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

26.04.2024
www.geostat.ge

26.04.2024

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1]

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 694.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-2 542) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-39 207).

დიაგრამა №1

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები,
ათასი



2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 61.0 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს.

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

26.04.2024

ცხრილი №1

მოსახლეობის რიცხოვნობა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
რეგიონების და დასახლების ტიპის მიხედვით,

ათასი

რეგიონი	სულ	მათ შორის:	
		საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3 694.6**	**2 254.2**	**1 440.4**
ქ. თბილისი	1 258.5	1 227.8	30.7
აჭარის ა.რ.	363.2	213.7	149.5
გურია	101.9	30.5	71.3
იმერეთი	442.3	222.7	219.6
კახეთი	299.9	70.1	229.8
მცხეთა-მთიანეთი	92.6	23.5	69.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	26.2	6.5	19.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	287.8	116.6	171.2
სამცხე-ჯავახეთი	142.1	53.2	88.8
ქვემო ქართლი	436.0	193.7	242.4
შიდა ქართლი	244.1	95.8	148.3

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება, საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის, აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

26.04.2024

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 19.5 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 64.3 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 16.2 პროცენტს.

დიაგრამა №2

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,
ათასი



26.04.2024

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 774.5 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ – 1 920.1 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 40 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 40 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

დიაგრამა №3

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



წინა წელთან შედარებით, 2023 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1.3 ერთეულით გაიზარდა და 75.0 წელი შეადგინა, მათ შორის კაცებისათვის – 70.6 წელი, ხოლო ქალებისათვის – 79.4 წელი.

დიაგრამა №4

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით,
წელი



2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

მიგრაცია

2023 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 245 064 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 95.6 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 14.5 პროცენტით გაიზარდა და 205 857 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში, იმიგრანტების 75.9 პროცენტი და ემიგრანტების 62.2 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.

დიაგრამა №5

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა
2023 წელს ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით,
კაცი



2023 წელს, იმიგრანტების 44.6 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 66.7 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.

ცხრილი №2

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა
2023 წელს მოქალაქეობის მიხედვით,
კაცი

მოქალაქეობის ქვეყანა	იმიგრანტი	ემიგრანტი
სულ	**205 857**	**245 064**
საქართველო	91 896	163 480
რუსეთის ფედერაცია	52 627	35 344
თურქეთი	8 624	7 049
უკრაინა	7 516	7 675
ინდოეთი	8 406	3 274
ბელარუსი	3 557	4 537
სხვა ქვეყნის მოქალაქე	33 072	23 538
მოქალაქეობის გარეშე / არ არის მითითებული	159	167

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ.: 2 36 72 10 (200); E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge